ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის დავით მურცხვალაძის

ანგარიში

2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად ვარ ჩხუტელის თემიდან  არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი. (წარმდგენი -პარტია  ,,საქართველოსთვის“ ). ვარ ფრაქცია ,,ცაგერი საქართველოსთვის“ წევრი,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის საკთხთა კომისიის წევრი.

რეგულარურად ვესწრები ფრაქციის სხდომებს, საკრებულოს კომისიების სხდომებს, საკრებულოს სხდომებს.

ჩვენს თემში საკმაოდ ბევრი პრობლემა დაგროვდა: სოფ. ლასხანაში წყლის მილების გამოცვლა, ჭალისუბანში ხიდის შეკეთება, კლდისძირის უბანში მეწყრული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია,  ასევე სასმელი წყლის პრობლემები სხვადსხვა უბნებში., ჭალისუბანში მოსახლეობის ნაკვეთებში სანიაღრე არხების მოწყობა, კლდისძირის უბანში გზის შეკეთების სამუშაოები.

ამ და სხვა პრობლემურ საკითხებზე განცხადების და შუამდგომლობების სახით მივმართე მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

მეტად აქტუალური გახდა მიმდინარე წელს ყურძნის ჩაბარების საკითხი, რაშიც მოსახლეობის გვერდით ვედექი.

მოგვარდა რამდენიმე საკითხიც; (გორის უბანში ბეტონის გზის მოწყობა, ჩხუტელის შემოვლითი გზის მოწყობა, გარე განათების მოწყობა კლდისძირის უბანში)

დ. მურცხვალაძე

25/10/2022 წ.